ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ლევან დარახველიძის

2018 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) და ქონების მართვისა და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის წევრი.

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:**

მე-6 მოწვევის საკრებულოს მუშაობის პერიოდში დღემდე ჩატარდა ბიუროს 28 სხდომა და საკრებულოს 29 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 127 დადგენილება და 397 განკარგულება. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 26 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ ჩაატარა 18 სხდომა და განიხილა 24 საკითხი, ხოლო ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ფორმატში დავესწარი 31 სხდომას და შევისწავლე 147 საკითხი, მათ შორის:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ შესახებ
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ
- თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.
- „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით
- საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.
- ქალაქ თბილისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებელ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები.
- შუამდგომლობა საკრებულოზე მიწისქვეშა ავტოსადგომების ინტერესთა გამოხატვის საკითხების წარდგენის შესახებ.
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- “საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ვარკეთილი-3-ის IV მიკრორაიონის კორპ.№425-ის მიმდებარედ არსებული, 13390 კვმ და 4853 კვმ ფართობის მიწის ნაკვეთები, ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოსაწყობად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.
- „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ 15 სხდომასა და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 26 სხდომის მუშობაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში გავეცანი თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის ხელმძღვანელობის ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზების შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი შემდეგ საკითხებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის ელექტრონული რუკის პრეზენტაციის შესახებ (მომხსენებელი გ. ტყემალაძე)
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია (მომხსენებლი ა. ლაშხი).
- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები (მომხსენებელი კ. კალაძე).
- თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა (მომხსენებელი: მ. ბითაძე).
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა (მომხსენებელი ი. ელოშვილი).

- თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები.
- დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები.
- „IRI“-ს კვლევების პრეზენტაციის საკითხი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროპოლიტენის თანამშრომლებთან მათი ხელფასების მატების საკითხის განხილვა 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას (მომხსენებელი ი. ხმალაძე)
- შპს „ას ჯორჯიას“ მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

- თბილისში, სხვადასხვა რაიონში არსებული 16 ლოკაციისთვის სახელის მინიჭების საჯარო განხილვის მოწყობის შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა
- თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა (მომხსენებელი ი. ხმალაძე).
- თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საქმიანობის ანგარიში.
- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში;

- თბილისში, სხვადასხვა რაიონსი 18 ლოკაციისათვის სახელის მინიჭების საკითხი.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის საქმიანობის ანგარიში.

- თბილისის გენერალური გეგმის ხელშეკრულების გადავადება;

- თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და სითი ინსტიტუტთან შესაჯერებლად მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნა.

- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები.

- შშმ პირებისათვის მაჟორიტარების მხრიდან ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ.